

ავთანდილ კოჭლამაზაშვილი

საფერავის ჯიშის წითელი მშრალი ღვინო გულის იშემიური დაავადების პრევენციაში საქართველოს-საზღვარგარეთის ქვეყნების თანამეგობრობის საერთაშორისო საზოგადოების პროფილაქტიკური კარდიოლოგიის კაბინეტი, საქართველო, თბილისი

Doi: <https://doi.org/10.52340/jecm.2023.04.01>

AVTANDIL KOTCHLAMAZASHVILI

DRY RED WINE OF THE "SAPERAVI" VARIETY IN THE PREVENTION OF CORONARY HEART DISEASE

Georgian Foreign Countries Friendship International Society Preventive Cardiologic Room, Tbilisi, Georgia

SUMMARY

The purpose of the work was to study the effect of dry red wine of the Saperavi variety on the risk of developing coronary heart disease in three different groups: I. Those who drank only the mentioned red wine gradually, from 100 to 300 grams per day. II. Those who excessively and frequently consumed any alcoholic beverages and III. Who doesn't drink alcohol at all.

Our conclusions regarding the article are as follows: 1. Moderate and regular consumption of dry red wine of the Saperavi variety (100-300 grams) maintains cholesterol and lipoprotein levels at normal levels in 76% of consumers. 2. Drinking from 100 to 300 grams of dry red wine of the Saperavi variety per day reduces the risk of developing coronary heart disease by four times compared to the group that consumed all types of alcoholic beverages excessively and frequently, and had a lower risk of two times the risk compared with a group that did not drink alcoholic beverages at all.

Keywords: dry red wine, Saperavi, heart, disease

ამქვეყნიურ სიამეთაგან ღვინოს ქართველი კაცისთვის ერთ-ერთი პრიორიტეტული ადგილი უკავია, რომელიც უხსოვარი დროიდან, მრავალათასწლეულოვანი ისტორიის მანძილზე ჭედდა და აყალიბებდა ღვინის სმის მაღალ კულტურას, მას იყენებდა კვების ძირითად პროდუქტად და ასევე სამართლიანად იზონებდა თავს მისი სამკურნალო თვისებებითაც. უძველესი დროიდან მოყოლებული დღევანდელ მედიცინამდე დადგინდა, რომ ღვინო უფრო სამკურნალო საშუალებაა, ვიდრე სიამოვნების მომგვრელი სასმელი. ღვინის სამკურნალო ღირებულების შესახებ ანალოგიური აზრი, ქართველ მეცნიერ-მკვლევართა შრომებში არაერთხელ ყოფილა დაფიქსირებული [1,2,3,4].

თანამედროვე მეცნიერები ღვინოში 1000-ზე მეტ კომპონენტს ითვლიან, აქედან 350 სამკურნალო ღირებულებისაა. ღვინო რთული ქიმიური შემადგენლობის პროდუქტია, ის შეიცავს: ვიტამინებს, მიკრო და მაკროელემენტებს, მინერალებს, ამინომჟავებს, მთრიმლავ ნივთიერებებს, საღებავებს, პექტინებს, პოლიფენოლებს და ა.შ.

წითელ ღვინოში არსებული პოლიფენოლებიდან ცალკე უნდა გამოვყოთ ბუნებრივი, მცენარეული წარმოშობის უნიკალური ნივთიერება, უმაღლესი ანტიოქსიდანტი, პოლიფენოლური ბიოფლავონოიდი, „ჰანაცეად ქვეული“ ფიტონუტრიენტი - რესვერატროლი, რომელიც მიეკუთვნება ფიტოესტროგენის კლასს, ხოლო მისი მოპოვების ყველაზე მნიშვნელოვან წყაროდ და პრიორიტეტად წითელი ღვინო ითვლება. ეს სასიკეთო „პოლიფენოლური თაიგული“ უპირველეს ყოვლისა, გულისისხლძარღვთა სისტემას „ეძღვნება“, იცავს მას თუნდაც ისეთი ვერაგი სნეულებისაგან, გულის იშემიური დაავადების მრისხანე გამოვლინება - ინფარქტი რომ ჰქვია.

აქედან გამომდინარე, წინამდებარე შრომის მიზანს შეადგენდა ქართული ღვინის „ეპიცენტრად“ მონათლულ კახეთის რეგიონში შეგვესწავლა გულის იშემიური დაავადების განვითარების რისკი იმ სიჭარბის ასაკიან (50-დან 65 წლამდე) კონტიგენტთან, რომელიც წლების განმავლობაში (ათი წლის ხანგრძლივობის ფარგლებში) სადილის დროს სისტემატურად ღებულობდა (იშვიათი გამონაკლისის გარდა), როგორც კვების ძირითად პროდუქტს, მხოლოდ საფერავის ჯიშის წითელ მშრალ ღვინოს დღეში 100-დან 300 გრამამდე (I ჯგუფი). პარალელურად ვიკვლევდით თანაბარი რაოდენობის და ასაკის მამაკაცებს, ხშირად და ჭარბად რომ იყენებდნენ

ნებისმიერ ალკოჰოლურ სასმელს (II ჯგუფი) და იმათ, ვინც საერთოდ არ ეკარებოდა ალკოჰოლს და მათ შორის ღვინოსაც (III ჯგუფი).

სამივე ჯგუფში გულის იშემიური დაავადების გამოსავლენად ვეცნობოდით გამოსაკვლევ პირთა ანამნეზს, სუბიექტურ და ობიექტურ მონაცემებს დინამიკაში ვაკვირდებოდით კლინიკურ - ლაბორატორიულ - ბიოქიმიურ - სეროლოგიურ-კოაგულაციურ - ინსტრუმენტალურ გამოკვლევათა შედეგებს (სისხლისა და შარდის საერთო ანალიზი, გლუკოზის შემცველობა, კოაგულოგრამა, ლიპიდური ცვლა, ელექტროკარდიოგრამა, ექოკარდიოგრაფია, გარკვეულ ნაწილთან კორონაროგრაფია).

I ჯგუფში - იმ 100 ადამიანიდან, ვინც საფერავის ჯიშის წითელ ღვინოს გეგმაზომიერად (დღეში 100-დან 300 გრამამდე) იყენებდა, ჯანმრთელობის სტაბილური მდგომარეობა აღენიშნა 76 (76%) -ს. ისინი არ უჩიოდნენ საერთო სისუსტეს, ჰაერის უკმარისობას, ქრონიკულ დაღლილობას, თავის ტკივილს, თავბრუსხვევას, ტაქიკარდიას, შფოთვას, ამობილურობასა და უმადობას. მათ არ ჰქონდათ გამოხატული არითმია, მომატებული არტერიული წნევა, სისხლში გლუკოზის მაღალი მაჩვენებლები და გაზრდილი თრომბო-წარმოქმნის ალბათობა, ქოლესტერინისა და ლიპოპროტეინების ფიზიოლოგიური ნორმიდან გადახრა, სისხლის ნაკადის სიჩქარისა და კუმშვადობის ფუნქციის შემცირება, კორონარული არტერიების დიფუზური დაზიანება.

მაშინ, როდესაც II და III საკონტროლო ჯგუფებში აღინიშნა ზემოჩამოთვლილ თითოეულ სიმპტომთაგან და მთლიანობაში კლინიკურ-ლაბორატორიულ-ბიოქიმიურ-სეროლოგიურ-კოაგულაციურ-ინსტრუმენტალურ გამოკვლევათა ნორმაშეცვლილი მაჩვენებლები, რომლებიც თვალნათლივ მიუთითებენ გულის იშემიური დაავადების განვითარების რისკის ოთხჯერ გაზრდას III ჯგუფში 96 (96%) და ორჯერ გაზრდას II ჯგუფში 48 (48%) შემთხვევაში.

ამრიგად, ჩვენს მიერ ჩატარებულ შრომაზე დასკვნების სახით შეიძლება ითქვას შემდეგი:

1. საფერავის ჯიშის წითელი მშრალი ღვინოს გამოყენება დღეში 100-დან 300 გრამამდე დადებითად შეიძლება იქნეს შეფასებული გულის იშემიური დაავადების პრევენციაში.
2. საფერავის ჯიშის წითელი მშრალი ღვინოს ზომიერი და რეგულარული მოხმარებით 76%-ში ხდება ქოლესტერინისა და ლიპოპროტეინების ნორმაში შენარჩუნება.
3. საფერავის ჯიშის წითელი მშრალი ღვინოს მიღება 100-დან 300 გრამამდე დღეში, ოთხჯერ ამცირებს გულის იშემიური დაავადების განვითარების რისკს იმასთან შედარებით, ვინც ყველანაირ ალკოჰოლურ სასმელს ჭარბად და ხშირად ეტანებოდა და ორჯერ ნაკლები რისკი ჰქონდა იმასთან შედარებით, ვინც საერთოდ არ სვამდა არანაირ ალკოჰოლურ სასმელს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. კოჭლამაზაშვილი ა. ღვინო ინფარქტის წინააღმდეგ. თბილისი, 2005; 1-11.
2. კობაიძე თ. უნიკალური მკურნალი, ოჯახის მკურნალი, 2008; 1:8-12.
3. კოჭლამაზაშვილი ა. იმპურნალეთ ღვინოთ. პირველი (ყურნალი მამაკაცებისათვის), 2010; 2: 76-78.
4. კოჭლამაზაშვილი ა. ღვინო და ჯანმრთელობა. კახური ტრადიციული მეღვინეობა, 2013; 102-107.

ავთანდილ კოჭლამაზაშვილი

საფერავის ჯიშის წითელი მშრალი ღვინო გულის იშემიური დაავადების პრევენციაში

საქართველოს-საზღვარგარეთის ქვეყნების თანამეგობრობის საერთაშორისო საზოგადოების პროფილაქტიკური კარდიოლოგიის კაბინეტი, საქართველო, თბილისი

რეზიუმე

შრომის მიზანს შეადგენდა შეგვესწავლა საფერავის ჯიშის წითელი მშრალი ღვინოს გავლენა გულის იშემიური დაავადების განვითარების რისკის სამ სხვადასხვა ჯგუფთან მიმართებაში: I. ვინც სვავდა მხოლოდ აღნიშნულ წითელ ღვინოს გეგმაზომიერად, 100-დან - 300 გრამამდე დღეში. II. ვინც ჭარბად და ხშირად იყენებდა ნებისმიერ ალკოჰოლურ სასმელს და III. ვინც საერთოდ არ ეტანებოდა არანაირ ალკოჰოლს.

ჩვენი დასკვნები შრომასთან დაკავშირებით ასეთია: 1. საფერავის ჯიშის წითელი მშრალი ღვინის (100-300 გრამი) ზომიერი და რეგულარული მიღება 76%-ში უნარჩუნებს ქოლესტერინისა და ლიპოპროტეიდების ნორმას; 2. საფერავის ჯიშის წითელი მშრალი ღვინის მიღება დღეში 100-დან 300 გრამამდე ოთხჯერ ამცირებს გულის იშემიური დაავადების განვითარების რისკს იმ ჯგუფთან შედარებით, ვინც ყველანაირ ალკოჰოლურ სასმელს ჭარბად და ხშირად ეტანებოდა და ორჯერ ნაკლები რისკი ჰქონდა იმ ჯგუფთან შედარებით, ვინც საერთოდ არ სვამდა ალკოჰოლურ სასმელს.

АВТАНДИЛ КОЧЛАМАЗАШВИЛИ

КРАСНОЕ СУХОЕ ВИНО СОРТА «САПЕРАВИ» В ПРЕВЕНЦИИ ИШЕМИЧЕСКОЙ БОЛЕЗНИ СЕРДЦА

Кабинет профилактической кардиологии международного общества содружества Грузии и зарубежных стран, Тбилиси, Грузия

РЕЗЮМЕ

Целью данного труда являлось изучение влияния красного сухого вина сорта «Саперави» по отношению к трем различным группам риска развития ишемической болезни сердца: I. Те, которые пили только упомянутое красное вино умеренно, от 100 до 300 граммов в день. II. Те, которые чрезмерно и часто употребляли любые алкогольные напитки и III. Те, которые вообще не принимали никакого алкоголя.

Наши выводы по отношению труда следующие: 1. Умеренное и регулярное употребление красного сухого вина сорта «Саперави» (100-300 грамм) поддерживает уровень холестерина и липопротеинов в 76%; 2. Употребление красного сухого вина сорта «Саперави» от 100 до 300 граммов в день, в четыре раза снижает риск развития ишемической болезни сердца по сравнению с группой, которая чрезмерно и часто употребляла все виды алкогольных напитков, и имело в 2 раза меньший риск по сравнению с группой, которая вообще не употребляла алкогольные напитки.

